ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ76. 76240722**
თარიღი:**12/03/2024**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივნისის N:ბ76.76221809 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 29 ივნისის N:ბ76.76221809 ბრძანებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის“ მე-6 მუხლის მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : **,, 2. სამუშაო დრო იწყება 09^{00} სთ-ზე და მთავრდება 18^{00}სთ-ზე.**

2. ამ ცვლილების გათვალისწინებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების საჯარო მოსამსახურეებისთვის გაცნობა და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ. გვერდზე- www.ambrolauri.gov.ge გამოქვეყნება.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით უზრუნველყონ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისთვის გაცნობა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. №13).

6. ბრძანება ძალაში შევიდეს 2024 წლის 12 მარტიდან.

ზვიადი მხეიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

ქალაქი ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა #11, ტელ: (0439) 22 10 14
#11 BRATISLAVA-RACHA STR, AMBROLAURI, TEL: (0439) 22 10 14, E-MAIL: info.ambrolauri@gmail.com